


# 2014-18 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 405 პროექტი დაფინანსდა



პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ანგარიშის ელექტრონული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2014-2018 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 100-ზე მეტი სხვადასხვა

**ორგანიზაციის 405 პროექტი დაფინანსდა.**

ადმინისტრაციის ინფორმაციით, ფონდიდან დაფინანსდა პროექტები კონსტიტუციის პოპულარიზაციაზე, დემოკრატიული ცნობიერების ამაღლებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციულ გაძლიერებაზე, ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობასა და მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია მასშტაბური კამპანიები: 1. შენი ხმა ჩვენი მომავალია, 2. კონსტიტუცია ყვედასია, 3. დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – პირველი რესპუბლიკის 100 წელი, 4. ვისწავლოთ ქართული – (ეროვნული უმცირესობებისათვის) 5. მოითხოვე ქართული.

„პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახადგაზრდების სამოქალაქო აქტიურობისა და უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ხელშეწყობას – მაგარითისათვის: 2018 წელს საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსების მიმართულებები იყო: ინსტიტუციური მხარდაჭერა, კვლევა/წიგნი/ფილმი აკადემიური

ღონისძიება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა“, – ნათქვამია პორტბიდეენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.